დანართი 2

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

აკადემიური საბჭოს N 3 გადაწყვეტილებით

18.05.2021 წ.

სადოქტორო პროგრამის დასახელება:
ეკონომიკა (Economics)

- *აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური:* დოქტორანტურა (III საფეხური)
- *ფართო სფერო:* 03 სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია
  Social Sciences, Journalism and Information
- *ვიწრო სფერო:* 031 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები
  Social and Behavioural Sciences
- **დეტალური სფერო:** 0311 ეკონომიკა Economics
- **სწავლების ენა:** ქართული
- *მისანიჭებელი კვალიფიკაცია:* ეკონომიკის დოქტორი
  PhD in Economics
- *სადოქტორო სწავლის ხანგრძლივობა:* 3 წელი
- *პროგრამის ხელმძღვანელი:* დავით კბილაძე, პროფესორი

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობა

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით“ დადგენილ მოთხოვნებს.

,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად, დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მოიპოვოს უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულმა. პროგრამაზე სწავლის მსურველს მოეთხოვება: უცხოური (ინგლისური) ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა, რაც შეიძლება დასტურდებოდეს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდით ან ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატით. ენის გამოცდისაგან ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენისაგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, საქართველოში ან უცხოეთში შესაბამის უცხოურ ენაზე მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (რომლის ავთენტურობა დადასტურებული უნდა იყოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ) წარმოდგენის შემთხვევაში. პროგრამით სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამაზე პირის ჩარიცხვის წინაპირობაა „ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით“ დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა და შესარჩევი კონკურსის დაძლევა.

სადოქტორო პროგრამის მიზანი

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის მიზანია ეკონომიკის დოქტორის ხარისხის მქონე მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რომლებსაც ექნებათ:

1. უახლეს მიღწევებზე დამყარებული თეორიული ცოდნა დარგში, კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდებში;
2. ეკონომიკის პრობლემების სისტემური და კრიტიკული გააზრების უნარი მულტიდისციპლინურ ან/და ინტერდისციპლინურ კონტექსტში;

გამოუმუშავდებათ:

3. ახალი ცოდნის, ეკონომიკური გადაწყვეტილებების გენერირება-ფორმირებაზე ორიენტირებული სამეცნიერო კვლევების დამოუკიდებლად ჩატარების, მათი შედეგების პრაქტიკაში დანერგვის, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე წარმოჩენისთვის საჭირო უნარ-ჩვევები;
4. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ცოდნის გადაცემა-წარდგენის უნარები სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით;
5. სამეცნიერო-კვლევითი ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული კვლევების განხორციელებისა და განვითარებაზე ორიენტირებული სწავლების პროცესის წარმართვის უნარი.

სადოქტორო პროგრამის მიზნები საჯარო, ხელმისაწვდომი და გაზიარებულია პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული მხარეების მიერ.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

1. განაზოგადებს ეკონომიკის უახლეს მიღწევებზე დამყარებულ სისტემურ თეორიულ ცოდნას;
2. განსაზღვრავს სწავლების თანამედროვე მეთოდებს;
3. განიხილავს კვლევის უახლეს და ინოვაციურ მეთოდებს პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრის პროცესში;
4. ახდენს ეკონომიკური პრობლემების იდენტიფიცერებას, მულტიდისციპლინურ ან/და ინტერდისციპლინურ გარემოში მათ სისტემურ და კრიტიკულ გააზრებას;

უნარი

5. იყენებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს ეკონომიკურ დისციპლინებში;
6. კრიტიკულად აანალიზებს კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში არსებულ პრობლემებს, ახდენს ეკონომიკური პროცესებისა და მოვლენების შეფასებას შესაბამისი არგუმენტირებულ დასკვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზე;
7. გეგმავს და ახორციელებს კვლევას, შეიმუშავებს ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ სამეცნიერო პროდუქტს და აქვეყნებს რეცენზირებად და რეფერირებად სამეცნიერო პერიოდიკაში, მათ შორის ერთი საერთაშორისო იმპაქტფაქტორიან ჟურნალში ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში (ე.წ. Proceedings);

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

8. დამოუკიდებლად, აკადემიური ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით ახორციელებს სამეცნიერო პროდუქტის შექმნას და სწავლების პროცესის წარმართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების და შედეგების შედარება/პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები	**საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები**	**შენიშვნა**
ეკონომიკის დოქტორის ხარისხის მქონე მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რომლებსაც ექნებათ: სიღრმისეული თეორიული ცოდნა დარგში, კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდებში;	• განაზოგადებს ეკონომიკის უახლეს მიღწევებზე დამყარებულ სისტემურ თეორიულ ცოდნას; • განსაზღვრავს სწავლების თანამედროვე მეთოდებს; • განიხილავს კვლევის უახლეს და ინოვაციურ მეთოდებს პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრის პროცესში;	
ეკონომიკის პრობლემების სისტემური და კრიტიკული გააზრების შესაძლებლობა მულტიდისციპლინურ ან/და ინტერდისციპლინურ კონტექსტში.	• ახდენს ეკონომიკური პრობლემების იდენტიფიცერებას, მულტიდისციპლინურ ან/და ინტერდისციპლინურ გარემოში მათ სისტემურ და კრიტიკულ გააზრებას;	
ახალი ცოდნის, ეკონომიკური გადაწყვეტილებების გენერირება-ფორმირებაზე ორიენტირებული სამეცნიერო კვლევების დამოუკიდებლად ჩატარების, მათი შედეგების პრაქტიკაში დანერგვის, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე წარმოჩენისთვის საჭირო უნარ-ჩვევები;	• კრიტიკულად აანალიზებს კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში არსებულ პრობლემებს, ახდენს ეკონომიკური პროცესებისა და მოვლენების შეფასებას შესაბამისი არგუმენტირებულ დასკვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზე; • გეგმავს და ახორციელებს კვლევას, შეიმუშავებს ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ სამეცნიერო პროდუქტს და აქვეყნებს რეცენზირებად და რეფერირებად სამეცნიერო პერიოდიკაში, მათ შორის ერთი საერთაშორისო იმპაქტფაქტორიან ჟურნალში ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში (ე.წ. Proceedings);	
უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ცოდნის გადაცემა-წარდგენის უნარები სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით;	• იყენებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს ეკონომიკურ დისციპლინებში;	

სამეცნიერო-კვლევითი ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული კვლევების განხორციელებისა და განვითარებაზე ორიენტირებული სწავლების პროცესის წარმართვის შესაძლებლობა.	• დამოუკიდებლად, აკადემიური ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით ახორციელებს სამეცნიერო პროდუქტის შექმნას და სწავლების პროცესის წარმართვას.	

სადოქტორო პროგრამის მოცულობა კრედიტებით

სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა არანაკლებ 3 წელია და სასწავლო კომპონენტი მოიცავს 50 კრედიტს (1 კრედიტი = 25 სთ).

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ჩამოყალიბება ხდება სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტების სინთეზის საფუძველზე, რომლებიც მიმართულია სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაზე. სადოქტორო პროგრამაში შემავალი სასწავლო და კვლევითი კომპონენტები თანმიმდევრული და ლოგიკურად დალაგებულია.

”ეკონომიკის” სადოქტორო პროგრამა

I პროგრამის სასწავლო კომპონენტი **50 კრედიტი**

მათ შორის:

1) სავალდებულო კომპონენტები **35 კრედიტი**

- სასწავლო კურსები 20 კრედიტი
- პროფესორის ასისტენტობა 5 კრედიტი
- დარგობრივი სემინარი 10 კრედიტი

2) არჩევითი კომპონენტები **15 კრედიტი**

- სადოქტორო პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსები

II პროგრამის კვლევითი კომპონენტი (სავალდებულო)

- სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სადოქტორო პროგრამა განხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მქონე სპეციალისტის მომზადებას. სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება ისეთი მეთოდები როგორიცაა: ინტერაქტიული ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვა. სწავლება-სწავლის მეთოდები თავის მხრივ მოიცავენ სხვადასხვა აქტივობებს წერითი და ვერბალური, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის, ახსნა-განმარტების, ზეპირსიტყვიერის, დემონსტრირების, პრეზენტაციის, დისკუსია/დებატების, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების, შემთხვევის ანალიზის (Case Study), გონებრივი იერიშის (Brain storming), ანალიზის, სინთეზის, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების, პრაქტიკული მუშაობის მეთოდების და სხვ. სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევა გამოყენება მიმართულია სასწავლო კომპონენტში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის სტიმულირებაზე, კვლევით კომპონენტში - კვლევის უნარების გამომუშვებასა და სრულყოფაზე.

დოქტორანტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით. სასწავლო კომპონენტის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 31 ქულა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50%. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს.

ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ მოცემულია სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსებში და ხელმისაწვდომია დოქტორანტებისათვის. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 0-40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს სადისერტაციო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას. სადისერტაციო ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით), იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. დისერტაცია დაცულად ჩაითვლება

თუ სადისერტაციო კომისიის საბოლოო შეფასება შეადგენს 51 % და მეტს სადისერტაციო ნარომის შეფასების შემთხვევაში გამოიყენება შეფასების შემდეგი სისტემა:

ა) ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი (91-100 ქულა);
ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება (81-90 ქულა);
გ) კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება (71-80 ქულა);
დ) საშუალო (*bene*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს (61-70 ქულა);
ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს (51-60 ქულა);
ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს (41-50 ქულა);
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს (0-40 ქულა).

თუ დისერტაციამ დაიმსახურა „არადამაკმაყოფილებელი" (41-50 ქულა) შეფასება დოქტორანტს ეძლევა 1 წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. არსებითი ხასიათის ხარვეზების გამო დისერტაციის „სრულიად არადამაკმაყოფილებელი" (41-ზე ნაკლები ქულა) შეფასების შემთხვევაში, დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას. დოქტორანტურაში სწავლის პროცესში პროგრესის შეფასების მიზნით, დოქტორანტი ყოველსემესტრულად წარსდგება სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი კომისიის წინაშე ანგარიშით კვლევითი კომპონენტის შესრულების შესახებ. სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კომპონენტები, კრიტერიუმები და ქულათა გრადაცია გაწერილია ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში; ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია დოქტორანტებისათვის.

დასაქმების სფერო

"ეკონომიკის" სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს - ეკონომიკის დოქტორს შეუძლია იმუშაოს ყველა იმ თანამდებობაზე, სადაც გადაწყვეტილების მიღებისას საჭიროა სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, ანალიზის, პროგნოზირების უნარი. დასაქმდეს: სახელმწიფო სტრუქტურებში, ეკონომიკური პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციებში, კორპორაციებში და კონსალტინგურ ცენტრებში, საერთაშორისო და ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ადგილობრივ საწარმოებში/ფირმებში, უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში.

პროგრამის განხორციელების მატერიალური რესურსი

ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და საინფორმაციო-ტექნოლოგიური რესურსით, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევას. კერძოდ: საბიბლიოთეკო რესურსი, სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, უახლესი ტექნიკითა და აპარატურით აღჭურვილი ტელევიზია - სდასუ TV, სადაც ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით ამზადებენ გადაცემებს, კომპიუტერული ცენტრები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ოთახები და სხვ. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სასწავლო

კურსების სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვ. სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული). ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი განახლებადია სფეროში მიმდინარე განვითარებების კვალდაკვალ და უზრუნველყოფს სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევასა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებას; დოქტორანტებისთვის და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები. კერძოდ: ELSEVIER (Scopus; Science Direct; Scival Funding (Funding Institutional), Cambridge Journals Online (https://www.cambridge.org/core); Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (https://www.elgaronline.com/page/70/journals), e-Duke Journals Scholarly Collection (https://read.dukeupress.edu/), SAGE Premier (https://journals.sagepub.com/), https://projecteuclid.org/, https://www.annualreviews.org/action/showPublications რომლებიც საშუალებას იძლევა გაეცნონ უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. უნივერსიტეტში შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების/ნაშრომების შემოწმება ხორციელდება ანტიპლაგიატის სისტემის გამოყენებით.

სადოქტორო პროგრამის განხორციელების ადამიანური რესურსი

სადოქტორო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური კადრებით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთაც აქვთ სწავლის შედეგების გამომუშვებისათვის აუცილებელი სათანადო კომპეტენცია - დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და სხვ.

სადოქტორო პროგრამის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა

ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სადოქტორო პროგრამის მხარდაჭერა. სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ანაზღაურების, წიგნადი ფონდის და სასწავლო მასალის განახლების, სამეცნიერო კვლევების დაფინანსების (მათ შორის შიდა გრანტი, კონფერენციები და სხვ.), სტუდენტთა ინიციატივების დაფინანსების და სხვა აქტივობების ხარჯები.

პროგრამის ხელმძღვანელი _____

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი _____

”ეკონომიკის” სადოქტორო პროგრამის დანართები

დანართი 1

”ეკონომიკის” სადოქტორო პროგრამის სასწავლო გეგმა

სადოქტორო პროგრამის კომპონენტები კრედიტებისა და სასწავლო სემესტრების მითითებით

#	სასწავლო /კვლევითი კომპონენტები	წინაპირობები	კრედიტები	საათები	საათების განაწილება					სასწავლო სემესტრები					
					საკონტაქტო საათები				დამოუკიდებელი მუშაობის საათები						
					ლექცია	ჯგუფში მუშაობა/ შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	სულ საკონტაქტო საათები		I	II	III	IV	V	VI
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
I	**პროგრამის სასწავლო კომპონენტი -**								**50 კრედიტი**				*მათ შორის:*		
	1) სავალდებულო კომპონენტები								**35 კრედიტი**						
1.	სწავლების თანამედროვე მეთოდები	-	**5**	**125**	14	31	2	**47**	**78**	x					
2.	ეკონომიკური პოლიტიკა	-	**5**	**125**	28	17	2	**47**	**78**	x					
3.	ეკონომიკური კვლევის მეთოდები, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი	-	5	**125**	30	30	2	**62**	**63**	x					
4.	მდგრადი განვითარების თანამედროვე გამოწვევები	-	5	**125**	16	29	2	**47**	**78**		x				
5.	პროფესორის ასისტენტობა	1	5	**125**					**125**		x				
6.	დარგობრივი სემინარი	3	10	**250**	**20**				**230**		x				
	2) არჩევითი კომპონენტები								**15 კრედიტი**						
1.	ინგლისური ენა ეკონომისტებისათვის	-	**5**	**125**		45	2	**47**	**78**	x					
2.	ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევასა და სწავლებაში	-	**5**	**125**	-	30	2	**32**	**93**	x					
3.	აკადემიური წერა		**5**	**125**	14	16	2	**32**	**93**	x					
4.	ეკონომეტრიკა	-	**5**	**125**	15	15	2	**32**	**93**	x					
5.	მეცნიერების მენეჯმენტი	-	**5**	**125**	15	30	2	**47**	**78**	x					
II	*პროგრამის კვლევითი კომპონენტი*														
1.	სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა														**X**

დანართი 2

სწავლის შედეგების - კომპეტენციების რუკა

კურიკულუმის რუქა

#	**სასწავლო კურსები**	**სწავლის შედეგები**							
		შედეგი 1	შედეგი 2	შედეგი 3	შედეგი 4	შედეგი 5	შედეგი 6	შედეგი 7	შედეგი 8
1	სწავლების თანამედროვე მეთოდები		1,2,3			2			
2	ეკონომიკური პოლიტიკა	1,2			1,2		1,2		
3	ეკონომიკური კვლევის მეთოდები, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი			1,2			1,2	1,2	1,2
4	მდგრადი განვითარების თანამედროვე გამოწვევები	1,2			1,2		1,2		
5	პროფესორის ასისტენტობა					2,3			
6	დარგობრივი სემინარი	2		2	2		2	2	2
7	სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა	3		3	3		3	3	3

შედეგი 1. განაზოგადებს ეკონომიკის უახლეს მიღწევებზე დამყარებულ სისტემურ თეორიულ ცოდნას;

შედეგი 2. განსაზღვრავს სწავლების თანამედროვე მეთოდებს;

შედეგი 3. განიხილავს კვლევის უახლეს და ინოვაციურ მეთოდებს პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრის პროცესში;

შედეგი 4. ახდენს ეკონომიკური პრობლემების იდენტიფიცერებას, მულტიდისციპლინურ ან/და ინტერდისციპლინურ გარემოში მათ სისტემურ და კრიტიკულ გააზრებას;

შედეგი 5. იყენებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს ეკონომიკურ დისციპლინებში;

შედეგი 6. კრიტიკულად აანალიზებს კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში არსებულ პრობლემებს, ახდენს ეკონომიკური პროცესებისა და მოვლენების შეფასებას შესაბამისი არგუმენტირებულ დასკვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზე;

შედეგი 7. გეგმავს და ახორციელებს კვლევას, შეიმუშავებს ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ სამეცნიერო პროდუქტს და აქვეყნებს რეცენზირებად და რეფერირებად სამეცნიერო პერიოდიკაში, მათ შორის ერთი საერთაშორისო იმპაქტფაქტორიან ჟურნალში ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში (ე.წ. Proceedings);

შედეგი 8. დამოუკიდებლად, აკადემიური ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით ახორციელებს სამეცნიერო პროდუქტის შექმნას და სწავლების პროცესის წარმართვას.

შენიშვნა: მე-3 დანართში შედეგისა და სასწავლო კურსების სვეტის გადაკვეთაში ჩაწერილი რიცხვები ნიშნავს თუ როგორ ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი შესაბამის სწავლის შედეგს. კერძოდ: 1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება და 3 - განმტკიცება.

დანართი 3

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალი

სახელი, გვარი	**სტატუსი**	**აფილირების შესახებ**	**სასწავლო კურსები**
დავით კბილაძე	პროფესორი	აფილირებული	მდგრადი განვითარების თანამედროვე გამოწვევები პროფესორის ასისტენტობა დარგობრივი სემინარი
თინათინ დოლიაშვილი	პროფესორი	აფილირებული	პროფესორის ასისტენტობა დარგობრივი სემინარი
ლელა ნატროშვილი	პროფესორი	აფილირებული	ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება სწავლებასა და კვლევაში
ელისაბედ ბალიაშვილი	პროფესორი	აფილირებული	მეცნიერების მენეჯმენტი
ნინო ლიპარტელიანი	ასოცირებული პროფესორი		ეკონომიკური პოლიტიკა
ხატია შევარდნაძე	ასოცირებული პროფესორი		აკადემიური წერა
მაია მემარნიშვილი	მოწვეული სპეციალისტი		სწავლების თანამდეროვე მეთოდები
შალვა ბერიაშვილი	მოწვეული სპეციალისტი		ეკონომეტრიკა
თამარ ხეცურიანი	მოწვეული სპეციალისტი		ინგლისური ენა ეკონომისტებისათვის
რუსუდან სეთურიძე	მოწვეული სპეციალისტი		ეკონომიკური კვლევის მეთოდები, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი
ირინე მანიჟაშვილი	მოწვეული სპეციალისტი		აკადემიური წერა
ნანა ახალაია	მოწვეული სპეციალისტი		ეკონომიკური პოლიტიკა
გიორგი ლილუაშვილი	მოწვეული პერსონალი		ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება სწავლებასა და კვლევაში

დანართი 4

სამიზნე ნიშნულები

N	სწავლის შედეგი	კომპონენტი	შეფასების კრიტერიუმები	სამიზნე ნიშნული
	ცოდნა და გაცნობიერება			
1.	განაზოგადებს ეკონომიკის უახლეს მიღწევებზე დამყარებულ სისტემურ თეორიულ ცოდნას.	სადისერტაციო ნაშრომი	1. ნაშრომის აქტუალურობა 2. სტრუქტურა 3. ნაშრომის სიახლე 4. მონაცემთა სარწმუნოება	მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 80%
2.	განსაზღვრავს სწავლების თანამედროვე მეთოდებს.	სწავლების თანამედრო-ვე მეთოდები		მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 80%
3.	აღიარებს კვლევის უახლეს და ინოვაციურ მეთოდებს პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრის პროცესში.	სადისერტაციო ნაშრომი	1.კვლევის მეთოდების რელევანტურობა	მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 80%
4.	ახდენს ეკონომიკური პრობლემების იდენტიფიცერებას, მათ მულტიდისციპლინარულ ან/და ინტერდისციპლინარულ სისტემურ და კრიტიკულ გააზრებას.	სადისერტაციო ნაშრომი	1.ნაშრომის ირგვლივ არსებული ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი და ინფორმაციის სინთეზი	მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 80%
	უნარი			
5.	იყენებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს ეკონომიკურ დისციპლინებში.	პროფესორის ასისტენტობა		მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 80%
6.	კრიტიკულად აანალიზებს კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში არსებულ პრობლემებს, ახდენს ეკონომიკური პროცესებისა და მოვლენების შეფასებას, აყალიბებს შესაბამის არგუმენტირებულ დასკვნებსა და რეკომენდაციებს.	სადისერტაციო ნაშრომი	1.ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნებისა და რეკომენდაციების თეორიული და პრაქტიკული ღირებულება 2. ნაშრომის ირგვლივ არსებული ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი და ინფორმაციის	მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 80%

			სინთეზი	
7.	გეგმავს და ახორციელებს კვლევას, შედეგებს ასახავს/წარადგენს სამეცნიერო პუბლიკაციებში/ საზოგადოების წინაშე ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.	სადისერტაციო ნაშრომი	1. პრეზენტაცია 2. სამეცნიერო დისკუსია	მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 85%
	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა			
8	ახორციელებს კვლევითი პროექტებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს ეთიკის მოთხოვნებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.	სადისერტაციო ნაშრომი	1. აკადემიური წერის სტილი 2. მონაცემთა სარწმუნოება 3. პრეზენტაცია, 4. სამეცნიერო დისკუსია	მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 90%